

პროექტისთვის სამოქალაქო ბიუჯეტიდან

1. პროექტის დახვეწა ავტორებთან ან წარმომადგენლობით ჯგუფებთან (საჭიროების შემთხვევაში). **საჭიროებების და მოლოდინების დიაგნოზის გაღრმავება ავტორებში**

სამოქალაქო ბიუჯეტიდან წარმოდგენილი და შერჩეული პროექტის საფუძველზე მიუთითეთ ის ჩარჩო (ფასი, პროექტის მოხსენებული ელემენტები, განხორციელების დრო), რომელსაც პროექტი უნდა მოერგოს, შეზღუდვების ანალიზის და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით (მეზობელი ინვესტიციები, განვითარება, მიზნობრივი ჯგუფები). ავტორებთან ან / და წარმომადგენლობით ჯგუფებთან მომზადება (პროექტის ხელმოწერ (მხარდამჭერ) პირებთან)), უფრო დეტალური პროექტი, შემუშავებული ჩარჩოებით

რეკომენდებული მეთოდი:

1. თუ პროექტი ცუდად არის აღწერილი:

- კვლევითი გასეირნება ან ადგილობრივი ხედვის მეთოდები (მაგ. დაკვირვებები, გამოკითხვა)
- საკონსულტაციო შეხვედრა რუქით

2. თუ პროექტი კარგად არის აღწერილი:

- შეხვედრა რუქით

შედეგები უნდა დაიწეროს და შეიქმნას ვიზუალური ფორმა, და გასაჯაროვდეს ინტერნეტით და სხვა საინფორმაციო არხებით. ამ შემთხვევაში (თუ ეს შესაძლებელია) გირჩევთ კონსულტაციას თანმხლებ (გადაცემის) მეთოდებში (მაგ. ფესტივალების, პიკნიკის დროს)

2. საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებაზე პასუხისმგებელი

საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისთვის საჭიროა შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობა, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად არსებობს რამდენიმე გზა:

- ტენდერი
- პირდაპირი შესყიდვა (კერძო კომპანია, ფიზიკური პირი, აიპ)
- უშუალოდ მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მიერ

იმ შემთხვევაში თუ განხორციელდება პროექტის მომზადება მუნიციპალიტეტის სპეციალისტების მიერ, შემსრულებლები უნდა ჩაერთონ პროცესებში პირველი სტადიიდან.

**3. პროექტის მომზადება.
მოსახლეობის მხრიდან
პროექტის შეფასება და
დამტკიცება**

- საკონსულტაციო შეხვედრა პროექტის ავტორებთან (მომზადების დროს - სურვილისამებრ)
- პროექტის ვიზუალური ნაწილის მომზადება შემსრულებლის მიერ.
- პროექტის პრეზენტაცია პროექტის ავტორებისთვის ან წარმომადგენლობითი ჯგუფებისთვის, შეფასებებისა და კომენტარების შეჯამებით.
- პროექტის კორექტირება, მოსახლეობის მხრიდან შესაბამისი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში.
- საბოლოო პროექტის განთავსება ინტერნეტ სივრცეში.
- პროექტის მიმართ მოსახლეობის მოთხოვნების და მოლოდინების განთავსება ინტერნეტ სივრცეში (არჩევითი)

**4. ტენდერის გამოცხადება
სამშენებლო სამუშაოების
წარმოებისთვის.
ინფორმაცია**

- სატენდერო მოთხოვნების სამუშაოების დროს პროექტის ავტორებთან ან დანიშნულ პირთან კოორდინაცია(სურვილისამებრ)
- სატენდერო პირობებისა და კრიტერიუმების შეთანხმება პროექტის ავტორთან ან დანიშნულ პირთან (სურვილისამებრ)
- ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება სატენდერო განცხადებისა და შემსრულებლის კომპანიის შესახებ. სოციალური მედია, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ავტორამდე.

**5. სამშენებლო სამუშაოები.
სამშენებლო სამუშაოების
მონიტორინგი**

- სამშენებლო სამუშაოების ხარისხის და პროექტთან შესაბამისობის მონიტორინგი მოსახლეობის მხრიდან.
- მერიაში არსებულ მონიტორინგის ჯგუფში მონაწილეობას მიიღებენ დაინტერესებული პირები და თანამონაწილეობის წარმომადგენლები.

მოსახლეობის ინფორმირება სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ონლაინ საშუალებით ფოტოებისა და ტექსტური ინფორმაციის განთავსებით.

**6. განხორციელებული
მშენებლობის ჩაბარება და
ექსპლუატაციაში მიღება.
ინფორმაციის მიწოდება და
მოსახლეობის აქტივაცია**

- მოსახლეობის ინფორმირება მშენებლობის დასრულების შესახებ.
 - განხორციელებული პროექტის საზეიმო გახსნა, მოსახლეობის მონაწილეობით.
- რეკომენდებულია ცერემონიის განმავლობაში მოსახლეობამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სხვა დაინტერესებულმა ჯგუფებმა მოამზადონ თანმხლები ღონისძიებები.

**7. შეფასება.
პროცესების და შედეგების
შეფასება ადგილობრივ
მოსახლეობასთან**

- პროექტის შეფასება - პროექტის პირველი წარდგენის დროს მოსახლეობის ჩართულობის და კომენტარების შეფასება.
- შიდა მიმდინარე შეფასება - საკოორდინაციო ჯგუფების შემაჯამებელი შეხვედრა ყოველ ორ თვეში ერთხელ, სადაც მოხდება პროცესის მიმდინარეობის ანალიზი.
- გარე შეფასება - დაინტერესებული მხარეების ინდივიდუალური გამოკითხვა, პროექტის მიმდინარეობის შესახებ და პასუხობს თუ არა განხორციელებული პროექტი მოლოდინებს.

მოსახლეობის ელექტრონული გამოკითხვა. (არჩევითი)

